ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ბორჯომის მუნიციპალიტეტი

განკარგულება:**გ-17. 1724117001**
თარიღი:**26/04/2024**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობის" დირექტორის ანგარიში 2023 წელს განხორციელებული მუშაობის შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის საფუძველზე

1. ცნობად იქნეს მიღებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის “ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობის" დირექტორის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქუჩა N60ᵃ)

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობის 2023 წლის შედეგები

1. პროგრამული კოდი: 03 01

2. პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა

3. ფინანსური მაჩვენებელი: გეგმა - 2 080 000 ლარი, შესრულება - 2 076 997,82 ლარი.

4. პროგრამის აღწერა:

ქალაქის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტური მოწესრიგება, ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას . ქვეპროგრამების ფარგლებში განხორციელდა ბორჯომის მინიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების, მოედნების, სკვერების, ტროტუარების სავალი ნაწილების დაგვა-დასუფთავება და საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება -გაწმენდა და მორეცხვა. ორგანიზაციებიდან, მოსახლეობიდან, დაწესებულებებიდან, მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ნარჩენების გატანა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების გადაბელვა და კირით შეწამვლა. ფანტანების და სკვერების მოვლა-პატრონობა. დაზიანებული ნაგვის ურნების შეკეთება. მრავალსართულიან კორპუსებში სანაგვე ბუნკერის, ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექციის და დეზინფექციის მომსახურება. საფეხმავლო ბილიკების და სკვერების გველების საწინააღმდეგო დეზინფექცია. დაზიანებული ფეხით სავალი ნაწილის მოპირკეთება.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდა დასახლებაში ბინადარი უპატრონო-მიუსაფარი შინაური ძაღლების დაჭერა, დროებით თავშესაფარში განთავსება შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით. მათზე ხდებოდა საიდენტიფიკაციო საშუალებების განთავსება, აცრები და კასტრაცია-სტერილიზაცია.

5. მიღწეული შედეგი:

უზუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება

ქვეპროგრამის ინდიკატორები

ქვეპროგრამის დასახელება	ზომის ერთეული	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	განმარტება
დაგვა-დასუფთავება	კვ.მ	151510	151510	0	
უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების პოპულაციის მართვა და თავშესაფარში გადაყვანა	ცალი	233	180	22,74%	ჩაშლილი ტენდერის გამო ვერ განხორციელდა დაგეგმილი რაოდენობის გადაყვანა
ნარჩენების გატანა	კუბი	32698	32600	0,29%	
გადაბელვა და ხეების კირით შეღებვა	ცალი	500	500	0	

ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობის 2024 წლის საკურორტო სეზონის მომზადებასთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებები

ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობის მიერ აქტიურად ხორციელდება ზაფხულის სეზონისთვის მზადება. დაგვა - დასუფთავების სამუშაოები ხორციელდება მთლიანი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე როგორც მეეზოვეების, ასევე ბრიგადის მიერ.

ორგანიზაცია სეზონზე გადადის სპეც რეჟიმზე- იცვლება ნაგვის გატანის გრაფიკი და გადავდივართ ყოველდღიურ და ორჯერად გატანაზე საჭიროებიდან გამომდინარე. აღნიშნულ სამუშაოებს ემსახურება 6 ერთეული ნაგავმზიდი და 2 ერთეული წყლის მანქანა.

ჩვენი ორგანიზაციის მიერ წლის დასაწყისში განხორციელდა 26 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერის შეძენა რომელთა განლაგებაც ამჟამად მიმდინარეობს საჭირო ლოკაციებზე. რაც შეეხება ნარჩენების სეპარირებას , მიმდინარე სეზონზე ვიწყებთ 6 ერთეული სეპარირების კონტეინერით, რომელიც განლაგდება ტურისტულად დატვირთულ ლოკაციებზე. ჩვენს მიერ ასევე შეძენილ იქნა სასკვერე ძელსკამები 100 ერთეული და პატარა ურნა 100 ერთეული სკვერებში განსალაგებლად. ასევე განხორციელდება დაზიანებუბლი ძელსკამების შეკეთება. ამ მხრივაც სეზონს ვხვდებით გამართული.

ხეების ჭრა და გადაბელვა აქტიურად მიმდინარეობს. მაქსიმალურად ვცდილობთ სეზონამდე მოესწროს აღნიშნული სამუშაოები, რათა ტურისტს არ შევუქმნათ დისკომფორტი.

მაისის თვეში განხორციელდება ხეების კირით შეღებვა.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს ორგანიზაციას 2023 წელს დაემატა მიუსაფარი ძაღლების დაჭერისა და საჭირო პროცედურების ჩასატარებლად თავშესაფარში გადაყვანის მომსახურება. ამჟამად ვახორციელებთ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 19 აპრილის ბრძანება # 16.162411027 -ით გათვალისწინებულ მომსახურების ტექნიკურ უზრუნველჰყოფას.

მომპირკეთებლების მიერ განხორციელდება ფეხით სავალი ტროტუარის დაზიანებული ადგილების შეკეთება.

აქტიურად მიმდინარეობს ურნებისა და სანაგვე ბუნკერების დერატიზაცია,დეზინფექცია და დეზინსექცია. მეორე კვარტალში იგეგმება ასევე ქვეწარმავლების საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება.